კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ოფიციალური ვებ-გვერდის (www.sakpatenti.org.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 21 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

## გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
47,37%
66,00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
62,50%
36,50%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
45,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
58,62%
31,88%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
31,82%
31,57%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
42,31%
29,41%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
16,67%
95,00%
0,00%
50,00%
100,00%

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** ვებ-გვერდზე არ მოიძება საქპატენტის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება საქპატენტის თავმჯდომარის კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქპატენტის თავმჯდომარეს - საქპატენტის მოქმედი დებულების თანახმად, საქპატენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი:

ირაკლი ღვალაძე

თავმჯდომარე

**განათლება**

**1995** წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

**სამუშაო გამოცდილება**

**1995 - 2002** წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვისა და ეკონომიკის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე.

**2002 - 2004** წლებში იყო თბილისის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი.

**2004 - 2005** წლებში მუშაობდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში იურიდიულ მრჩველად

ზემოთ მოცემული ინფორმაცია თავმჯდომარის შესახებ მოცემულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „საქპატენტის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ხელმძღვანელი პირები“; სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-) განყოფილება სათაურად „თავმჯდომარე“ სადაც განთავსდება თავმჯდომარის შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „საქპატენტის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“ არ არის მოცემული თავმჯდომარის ელექტრონული ფოსტის მისამართი:





## საკონტაქტო ინფორმაცია

**ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი"**

**0108, ქ.თბილისი**
**რუსთაველის გამზ. N 30**

**ელ.ფოსტა: info@sakpatenti.org.ge**

**/ამავე ცენტრის ინტელექტუალური საკუთრების ბიბლიოთეკა მდებარეობს მისამართზე:**

**0179, ქ.თბილისი**
**ნინო რამიშვილის ქ. 31**

***ირაკლი ღვალაძე*** *- თავმჯდომარე*
*ფაქსი (+99532) 298 84 19*
*ტელ. (+99532) 225 17 60; 293 16 07*

- არ მოიძიება საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილის კომპეტენციის აღწერა;

ეკატერინე ეგუტია

თავმჯდომარის მოადგილე

განათლება

**1999** წელს ჩაირიცხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, რომელიც **2004** წელს დამთავრა ოქრობატის სპეციალობით;

**2000 – 2003** წლებში სწავლობდა პელინკის უნივერსიტეტში (ფინეთი) სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე;

**2002 – 2004** წლებში სწავლობდა პელინკის ბიზნესპოლიტექნიკუმში, მიიღო საკალთრის წოდება, ბიზნესის პროფილის სპეციალობით;

**2005 – 2006** წლებში სწავლობდა ლონდონის უნივერსიტეტში (დაგვანი), მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ევროკავშირის ბიზნესამართლის სპეციალობით. იყო საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

ზემოთ მოცემული ინფორმაცია თავმჯდომარის მოადგილის შესახებ მოცემულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „საქპატენტის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ხელმძღვანელი პირები“. სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-) განყოფილება სათაურად „მოადგილე“ სადაც განთავსდება თავმჯდომარის მოადგილის შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „საქპატენტის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“ არ არის მოცემული თავმჯდომარის მოადგილის ელექტრონული ფოსტის მისამართი:




**2.** არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, საქპატენტის ფაქსის ნომერი და შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

**3.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „დაგვიკავშირდით“ არ არის მოცემული არანაირი საკონტაქტო ინფორმაცია, მოცემულია მხოლოდ საქპატენტის მისამართი:




ხოლო, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „საქპატენტის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“ მართალია, მოცემულია საზოგადოებასთან და

მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა არ არის მოცემული თვით ამ განყოფილების ტელეფონის ნომერი:

***ეკატერინე შანიძე*** *- საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი*
*ტელ. (+99532) 298 85 12*

ამასთან, საქპატენტის ცხელი ხაზის ნომერი, რომელიც მოცემულია საქპატენტის მთავარ გვერდზე, სასურველია, მოცემული იყოს არსებულ განყოფილებაშიც „დაგვიკავშირდით“ და აგრეთვე, განყოფილებაში „საქპატენტის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“.

**4.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქპატენტის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (საქპატენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სტრუქტურული ერთეულების (სამმართველოების/განყოფილებების) სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები); არ მოიძიება აგრეთვე, საქპატენტის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღებისა და მათთან მუშაობის გრაფიკი.

**5.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“ სადაც განთავსდებოდა საქპატენტის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

**6.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქპატენტის ძირითადი ამოცანების, ძირითადი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების აღწერა. აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**7.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქპატენტის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება საქპატენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სტრუქტურული ერთეულების (სამმართველოების/განყოფილებების) ჩამონათვალი;

- არ მოიძიება საქპატენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სტრუქტურული ერთეულების (სამმართველოების/განყოფილებების) კომპეტენციის, ფუნქციებისა და ამოცანების აღწერა;

- არ მოიძიება საქპატენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სტრუქტურული ერთეულების (სამმართველოების/განყოფილებების) ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა, ამასთან, არასრული სახით არის წარმოდგენილი საქპატენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კერძოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „საქპატენტის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ხელმძღვანელი პირები“ მოცემულია საქპატენტის მხოლოდ შემდეგი ხუთი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები:

  - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი;
  - გამოგონების, დიზაინისა და ახალი ჯეშების დეპარტამენტი;
  - იურიდიული და საავტორო სამართლის დეპარტამენტი;
  - საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამმართველო;
  - ადმინისტრაციული დეპარტამენტი:

**გიორგი ქურდიანი**

**საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი**

**ზვიად მათიაშვილი**

**გამოგონებების, დიზაინისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსი**

**ელენე ქემაშვილი**

**იურიდიული და საავტორო სამართლის დეპარტამენტის უფროსი**

**ანა გობეჩია**

**საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი**

**რევაზ თაბუკაშვილი**

**ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი**

ამასთან, ხსენებულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული ბმული ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის შესახებ ბმული არ იხსნება:

**რევაზ თაბუკაშვილი**

**ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი**

**Not Found**

The requested URL /files/tabukashvili.htm was not found on this server.

*Apache/2.2.3 (CentOS) Server at www.sakpatenti.org.ge Port 80*

- განყოფილებაში სათაურად „საქპატენტის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“ არ არის წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

***რევაზ თაბუკაშვილი*** *- ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი*
*ტელ. (+99532) 225 17 62*

***ელენე ქემაშვილი*** *- იურიდიული და საავტორო სამართლის დეპარტამენტის უფროსი*
*ტელ. (+99532) 292 34 94*
*ფაქსი (+99532) 298 84 19*

***ზვიად მათიაშვილი*** *- გამოგონებების, დიზაინისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსი*
*ტელ. (+99532) 292 24 80*

***გიორგი ქურდიანი*** *- საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი*
*ტელ. (+99532) 225 25 31*

***ანა გობეჩია*** *- საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი*
*ფაქსი (+99532) 298 84 26*
*ტელ. (+99532) 298 84 26*

ელ.ფოსტა: a.gobechia@sakpatenti.org.ge

***ალექსანდრე ჯინორიძე*** *- საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი*
*ფაქსი (+99532) 292 39 60*
*ტელ. (+99532) 292 39 60*

***მანანა ფრუიძე*** *- საავტორო უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი*
*ტელ. (+99532) 291 71 80*
*ფაქსი (+99532) 298 84 19*

***ნინო ბებრიშვილი*** *- სარედაქციო–საგამომცემლო განყოფილების უფროსი*
*ტელ. (+99532) 291 71 82*

***ეკატერინე მანიძე*** *- საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი*
*ტელ. (+99532) 298 85 12*

***ნინო ცუხიშვილი*** *- ინტელექტუალური საკუთრების ბიბლიოთეკის უფროსი*
*ტელ. (+99532) 291 71 68*

ამასთან, ხსენებულ ქვე-განყოფილებაში მიმოფანტულად არის წარმოდგენილი საკონტაქტო რეკვიზიტები, კერძოდ წარმოდგენილია მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამმართველოს უფროსის ელ.ფოსტის

მისამართი, აგრეთვე, არასრული სახით არის წარმოდგენილი ზოგიერთი სტრუქტურული ქვედანაყოფისა და ერთეულის უფროსის ფაქსისა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრებიც:

***რევაზ თაბუკაშვილი*** *- ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი*
*ტელ. (+99532) 225 17 62*
[redacted]

***ელენე ქემმშვილი*** *- იურიდიული და საავტორო სამართლის დეპარტამენტის უფროსი*
*ტელ. (+99532) 292 34 94*
*ფაქსი (+99532) 298 84 19*

***ზვიად მთიაშვილი*** *- გამოგონებების, დიზაინისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსი*
*ტელ. (+99532) 292 24 80*

***გიორგი ქურდიანი*** *- საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი*
*ტელ. (+99532) 225 25 31*

***ანა გობეჩია*** *- საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი*
*ფაქსი (+99532) 298 84 26*
*ტელ. (+99532) 298 84 26*

ელ.ფოსტა: a.gobechia@sakpatenti.org.ge

***ალექსანდრე ჯინორიძე*** *- საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი*
*ფაქსი (+99532) 292 39 60*
*ტელ. (+99532) 292 39 60*

***მანანა ფრუიძე*** *- საავტორო უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი*
*ტელ. (+99532) 291 71 80*
*ფაქსი (+99532) 298 84 19*

***ნინო ბებრიშვილი*** *- სარედაქციო–საგამომცემლო განყოფილების უფროსი*
*ტელ. (+99532) 291 71 82*
[redacted]

***ეკატერინე მანიძე*** *- საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი*
*ტელ. (+99532) 298 85 12*
[redacted]

***ნინო ცუხიშვილი*** *- ინტელექტუალური საკუთრების ბიბლიოთეკის უფროსი*
*ტელ. (+99532) 291 71 68*
[redacted]

- არ მოძიება საქპატენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სტრუქტურული ერთეულების (სამმართველოების/განყოფილებების) ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „საქპატენტის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ – „საქპატენტის ადმინისტრაციული სტრუქტურა“ წარმოდგენილ სტრუქტურულ ხეზე (სქემატურ ნახატზე) წარმოდგენილი სტრუქტურული ქვედანაყოფის - „საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამმართველოს“ დებულების მიხედვით განსაზღვრული სახელწოდება არის „საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტი“, ხოლო სტრუქტურაზე მოცემული მისი სახელწოდება შეცდომაში შემყვანია, სასურველია, ხსენებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს გადაერქვას სახელწოდება და ეწოდოს მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული სახელწოდება:




აგრეთვე, მოცემულ სტრუქტურულ ხეზე წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულის - „საგამომცემლო-სარედაქციო სამმართველოს“ დებულების მიხედვით განსაზღვრული სახელწოდება არის „საგამომცემლო-სარედაქციო განყოფილება“, ხოლო სტრუქტურაზე მოცემული მისი სახელწოდება შეცდომაში შემყვანია, სასურველია, ხსენებულ სტრუქტურულ ერთეულს გადაერქვას აღნიშნული სახელწოდება და ეწოდოს მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული სახელწოდება:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**8.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიების და ტენდერების არქივი, საქპატენტის საქმიანობის ამსახველი 2011 წლის და 2012 წლის წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, პროგრამები და პროექტები, გეგმები, განცალკევებულ განყოფილებაში თავმოყრილი სტატისტიკური მონაცემები (მოცემულია მხოლოდ საქპატენტის საქმიანობის ამსახველ ანგარიშებში), რიგი ფინანსური მაჩვენებლებისა *და ა.შ.*

სასურველია, ვებ-გვერზე აგრეთვე მოიძიებოდეს საფინანსო დეპარტამენტის მიერ შედგენილი შესყიდვების გეგმები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „აპელაცია“ არსებული ქვე-განყოფილება „ინფორმაცია ჩასატარებელი განხილვის შესახებ“ იუწყება, რომ გვერდი მომზადების პროცესშია:




ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „განცხადებები“ არსებული ქვე-განყოფილება „აუქციონი“ იუწყება, რომ საქპატენტში ამჟამად აუქციონი არ არის:




ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „განცხადებები“ არსებული ქვე-განყოფილება „სტაჟირება“ იუწყება, რომ საქპატენტში სტაჟიორების პოზიცია არ არის:



➢ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**9.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქპატენტის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება საქპატენტის თავმჯდომარის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები (წერილობითი ფორმით);

- არ მოიძიება საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები (წერილობითი ფორმით).

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებას სათაურად „სიახლეები“ არ გააჩნია წვდომა ვებ-გვერდის სხვა ინფორმაციულ გვერდებიდან (შესაბამისი ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ მთავარ გვერდზე გადასვლისას), რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის ხსენებული ინფორმაციის მოძიების მხრივ:



**10.** საქპატენტის საქმიანობის ამსახველი ანგარიშები განთავსებულია ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე მოცემულ წლიური ანგარიშების არქივში, რომელსაც არ გააჩნია წვდომა ვებ-გვერდის სხვა ინფორმაციულ გვერდებიდან (შესაბამისი ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ მთავარ გვერდზე გადასვლისას), რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის ხსენებული ინფორმაციის მოძიების მხრივ:






სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს ცალკეული ბანერი სათაურად „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა საქპატენტის საქმიანობის ამსახველი ზემოთ მოცემული ანგარიშები და აგრეთვე, საქპატენტის საქმიანობის ამსახველი 2011 წლის და 2012 წლის წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები.

**11.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა საქპატენტის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ საქპატენტის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებულია მხოლოდ და მხოლოდ საქპატენტის საქმიანობის ამსახველ ანგარიშებში.

**12.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები და პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამებისა და პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქპატენტი. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქპატენტი. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", საქპატენტისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი და თითოეულ პროექტზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად (არ იქნა მითითებული პროექტებზე დახარჯული თანხები), რაც შესაძლებელს ხდის საქპატენტის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

*http://www.opendata.ge/pdf_files/__saqpatenti_proeqtebi.pdf*

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქპატენტი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქპატენტის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

*http://www.opendata.ge/pdf_files/saqpatenti_proeqtebi.pdf).*

**13.** სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქპატენტის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**14.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებას „კანონმდებლობა“ სასურველია გადაერქვას სახელწოდება და ეწოდოს „სამართლებრივი აქტები“. ხსენებულ განყოფილებაში ზოგიერთი სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით - სასურველია უკლებლივ ყველა აქტი მოცემული იყოს მოქმედი მდგომარეობით.

აღნიშნულ განყოფილებაში სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, საქპატენტის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები.

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს საქპატენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების შინაგანაწესი და საშტატო ნუსხა; აგრეთვე, საქპატენტის თანამშრომლებისა და პატენტრწმუნებულების საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი ბრძანება. აგრეთვე, საქპატენტის მიერ შემუშავებული ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონპროექტები და სხვა ნორმატიული აქტების პროექტები; გამოგონების, დიზაინის და ახალი ჯიშების დეპარტამენტის მიერ მომზადებული გამოგონების, დიზაინისა და ახალ ჯიშებთან დაკავშირებული კანონპროექტები და სხვა ნორმატიული აქტების პროექტები; სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის მიერ მომზადებული სასაქონლო ნიშნებთან, ადგილწარმოშობის დასახელებასა და გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებული კანონპროექტები და სხვა ნორმატიული აქტების პროექტები; აგრეთვე, იურიდიული და საავტორო სამართლის დეპარტამენტის მიერ დამოუკიდებლად ან/და საქპატენტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტები;

ამასთან, საქპატენტის შინაგანაწესი (რომელიც, არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ (ქვე-)განყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**15.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

**16.** ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და საქპატენტში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**17.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საქპატენტსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, საქპატენტსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

სასურველია, ხსენებულ შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში მოიძიებოდეს აგრეთვე, იურიდიული და საავტორო სამართლის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ხელშეკრულებები, რომლებშიც ერთ-ერთ მხარედ გამოდის საქპატენტი.

**18.** განყოფილებაში „განცხადებები“ არსებული ქვე-განყოფილებები სათაურად „ტენდერი“ და „აუქციონი“ იუწყებიან, რომ ამჟამად საქპატენტში ტენდერი და აუქციონი არ არის:









სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებებში შესაბამისად სათაურებისა განთავსდეს საქპატენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, საქპატენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქპატენტისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქპატენტის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/1_saqpatenti_shesyidvebi.pdf*

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავ ჩამონათვალს (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქპატენტის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saqpatenti_shesyidvebi.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**19.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „განცხადებები" არსებული ქვე-განყოფილება „ვაკანსია" იუწყება, რომ საქპატენტში ამჟამად ვაკანსიები არ არის:




ხსენებულ ქვე-განყოფილებაში სასურველია, განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (საქპატენტის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

ზემოთხსენებული მოთხოვნები ანალოგიურად ვრცელდება ქვე-განყოფილებაში „სტაჟირება“ განსათავსებელ ინფორმაციაზე სტაჟიორების პოზიციის შესახებ:




- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**20.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქპატენტის საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება თითოეულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება საქპატენტის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", საქპატენტისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში*

*შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქპატენტის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* [http://www.opendata.ge/pdf_files/saqpatenti_xelfasi.pdf](http://www.opendata.ge/pdf_files/saqpatenti_xelfasi.pdf)

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაციას (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქპატენტის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* [http://www.opendata.ge/pdf_files/saqpatenti_xelfasebi.pdf](http://www.opendata.ge/pdf_files/saqpatenti_xelfasebi.pdf)*);*

- არ მოიძიება საქპატენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული *და მისთ.*) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქპატენტი;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ საქპატენტისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

ზემოთ ხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს განყოფილებაში „საქპატენტის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ბიუჯეტი“:

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
20,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
50,00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
53,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
36,84%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
33,33%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
41,67%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ძიება**

ძიების მოდული არასრულყოფილია. მაგალითად საკვანძო სიტყვის, „მინისტ“-ის ძიების დროს გამოდის ინფორმაციის საკმაოდ დიდი ჩამონათვალი სადაც არ არის გამოყოფილი საძიებო სიტყვა. მაგ:




- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის ტექსტსა და ობიექტებს შორის დაშორება უნდა იყოს მინიმუმ 2 პიქსელი. ამჟამად გვერდზე ეს კრიტერიუმი არ არის დაცული. მაგ:



ვებ-გვერდზე არსებობს ბანერები, რომლებზეც ტექსტი გარკვევით არ იკითხება, ზოგ შემთხვევაში კი ნაწილობრივ წერია. მაგ:

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსიის საკონტაქტო ფორმაში შესაძლებელი უნდა იყოს ქართული ფონტის ავტომატურად გამოყენება. ამჟამად ვებ-გვერდზე აღნიშნული კრიტერიუმი არ არის დაცული. მაგ:

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის Client Side პროგრამულ კოდს, (javascript, CSS, html) აქვს პრობლემები. ამ შემთხვევაში საუბარია CSS/HTML-ზე. აღნიშნული პროგრამული კოდები ვერ უზრუნველყოფენ ერთიდაიგივე ფონტის გამოყენებას განსხვავებულ ბრაუზერებში.

ბრაუზერ "Firefox-ში", „Opera"-ში და „Internet Explorer"-ში ვებ-გვერდის მენიუ იტვირთება სხვადასხვა ფონტით:

Internet Explorer:




Opera:




Firefox:




- **ონლაინ სერვისები**

საქპატენტი ეწევა საქმიანობას, სადაც შესაძლებელია მომსახურების საფასურის გადახდა.

საქპატენტის ვებ-გვერდზე ატვირთულია შესაბამისი რეკვიზიტები:



დოკუმენტი ოთხელიც დაადასტურეთეს ოთხ გაბიცხადებელი პოის სტუდენტი, სკოლის თოსრავლე ან აეხსიოთეოი, ვიხაიდან, ზემოაღნიშნული შეღავათები განცხადებელზე გავრცელდება მხოლოდ ამ შემთხვევაში.

განმცხადებლებს შესაბამისი საფასურების გადახდა შეუძლიათ შემდეგ საბანკო ანგარიშებზე:

საქპატენტის საიდენტიფიკაციო კოდი **203831363**
ბანკი "საქართველოს ბანკი" BAGAGE22
ანგარიში: GE57BG0000000892218200

ან

საქპატენტის საიდენტიფიკაციო კოდი **203831363**
ბანკი "თიბისი" TBCBGE22
ანგარიში: GE94TB0600000006609804

**საქართველოს მთავრობის**

**დადგენილება N182**

**2010 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი**

თუმცა რეკვიზიტებთან ერთად სასურველია იყოს ონლაინ გადახდის საშუალებაც. ონლაინ გადახდების სერვისი დღეს-დღეობით ძალიან ბევრ ვებ-გვერდზე გამოიყენება, მისი ინტეგრაციის პროცედურა საკმაოდ გამარტივებულია და ვებ-გვერდზე მისი დანერგვა არ იქნებოდა რთული.

- **დამატებითი პარამეტრები**

ამოსაბეჭდ ვერსიაში ფიქსირდება სტრუქტურული ხარვეზები. მაგ:

ვებ-გვერდი განთავსებულია დომენზე: http://sakpatenti.org.ge

.org.ge დომენებთან დაკავშირებით კომპანია „კავკასუს"-ის ოფიციალური განმარტებით:



1. დომენური სახელის რეგისტრაციის წესები

1.1. GE-ზონაში რეგისტრაციისათვის გამოყოფილი დომენების პრეფიქსები:
*.ge - ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისთვის და ფიზიკური პირისთვის;
*.com.ge (generic) - მხოლოდ კომერციული ორგანიზაციებისათვის;
*.edu.ge (generic) - მხოლოდ საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;
*.gov.ge (generic) - მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისათვის;
*.org.ge (generic) - მხოლოდ არაკომერციული ორგანიზაციებისათვის;
*.mil.ge (generic) - მხოლოდ სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციებისათვის;
*.net.ge (generic) - მხოლოდ ორგანიზიციებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ქსელების პროვაიდერებს ან ქსელურ პროექტებს;
*.pvt.ge (generic) - მხოლოდ კერძო პირებისათვის.

1.2. დომენური სახელის რეგისტრაციისას ან/და გადაცემისას რეგისტრანტმა უნდა მიუთითოს

აღნიშნული ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და არა არაკომერციული ორგანიზაცია, შესაბამისად საქპატენტი განთავსებული უნდა იყოს დომენზე, რომელიც მთავრდება gov.ge-ით

## ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე დასახვეწია ძიების მოდული, რადგან ძიების შედეგები საკმაოდ ქაოტ ურად გამოდის. ასევე ვებ-გვერდზე დასახვეწია შემდეგი დეტალები: საკონტაქტო გვერდის ფორმები და წესები, ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან, ელექტრონული ჩართულობა ელექტრონული სერვისები. ვებ-გვერდში არსებობს ასევე მცირე სტრუქტურული და პროგრამული ხარვეზები.